საქართველოს პარლამენტი

2024 წლის დეკემბრის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
იანვარი

2024 წლის დეკემბრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

7.5%

ნოემბერი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის პირველი თერთმეტი თვის საშუალო მაჩვენებელი **9.4%**

2024 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **1.9%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.3%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - ნოემბერში* საქონლის ექსპორტი **7.9%**-ით, ხოლო იმპორტი **6.1%**-ით გაიზარდა.

ნოემბერში* ფულადმა გზავნილებმა **266.7** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **44.6%;**
აშშ - **18.8%;**
რუსეთი- **11.2%;**
სხვა ქვეყნები - **25.5%.**

ნოემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე შემცირდა.

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **2.7%**-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით კი **1.2%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის ნოემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 7.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის ნოემბერში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.5%, თერთმეტი თვის საშუალო მაჩვენებელმა კი 9.4% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის ნოემბერში* 13,834.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.1%-ით აღემატება.

<u>2024 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 1.9% შეადგინა.</u>

დეკემბერში, წინა წლის დეკემბერთან მიმართებით, ინფლაციის დონე 1.9%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯამრთელობის დაცვაზე და ტრანსპორტზე. დეკემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.3%-ით განისაზღვრა.

2024 წლის ნოემბერში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 3.3% შეადგინა.









<u>2024 წლის ნოემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

ნოემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 9.4%-ით, ხოლო ხარჯები 8.9%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 281.7 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო - 157.2 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ნოემბერში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,862.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.5%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (28.1%-ით), საშემოსავლო გადასახადი (25.8%-ით), ქონების გადასახადი (10.2%-ით) და დამატებული ღირებულების გადასახადი (4.5%-ით). ამავე პერიოდში შემცირდა აქციზი (-28.5%-ით) და იმპორტის გადასახადი (-4.9%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 50.9%, ლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 49.1% შეადგინა.

ნოემბერში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 16.2%-იანი (88.1 მლნ ლარით ნაკლები) შემცირება დაფიქსირდა.

<u>2024 წლის ნოემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

ნოემბერში*, წინა წლის ნოემბერთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 18.9%-ით მოიმატა და 58.7 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 24.6%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 11.7%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.7% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.2%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.6% ფიზიკურ პირებზეა, 14.4% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.1% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 62.9% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.2% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.2% - მშენებლობის, 17.8% - მრეწველობის, 13.3% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.





2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-ნოემბერში*, წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.</u>

2024 წლის იანვარ-ნოემბერში, ექსპორტმა 7.9%-ით, ხოლო იმპორტმა 6.1%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6.6%-ით გაიზარდა და 21,112.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.5%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (86%), აშშ-ში (79%), უზბეკეთში (26%), ყაზახეთში (23%), თურქეთში (15%), რუსეთში (5%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა ბულგარეთი (57%), სომხეთი (21%), აზერბაიჯანში (16%), ჩინეთში (1%) და სხვა.

იანვარ - ნოემბერში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (288%), ფეროშენადნობის (113%), სპირტიანი სასმელების (53%), მინერალური და მტკნარი წყლები, შაქრის დანამატის გარეშე (26%), წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით (24%), ოქროს (20%), მსუბუქი ავტომობილების (14%), ღვინის (9%) და დაფასოებული სამკურნალო საშუალებების (1%) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების (30%) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარ - ნოემბერში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 73.6% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 18.4% - საზღვაო, 4.0% - საჰაერო, 3.1% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 0.9% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 47.4% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 36.7% - საზღვაო, 7.3% - საჰაერო, 6.4% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 2.3% შეადგინა.



იანვარ - ნოემბერში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 2,588.7 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.1%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 20%), თურქეთი (15%), ჩინეთი (10%), სომხეთი (6%), აშშ (5%), აზერბაიჯანი (5%), ბულგარეთი (4%), შვეიცარია (4%), უკრაინა (3%), ყაზახეთი (3%).

ფულადი გზავნილები **(%)**
ჩარიცხვები, ნოემბერი



<u>2024 წლის ნოემბერში* ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

ნოემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 9.6%-ით შემცირდა და 266.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (118.9 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.6%) და აშშ (50.1 მლნ აშშ დოლარი, 18.8%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 60.6%-ით შემცირდა და 29.8 ლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 11.2%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (45.2 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.9%), აგრეთვე - გერმანიიდან (23.8 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (21.5 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (21.4 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (8.5 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთი (8.0 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (8.0 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის დეკემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,448 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

დეკემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,448 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.2%-ით შემცირდა, წინა თვესთან მიმართებით კი 7.8%-ით გაიზრდა.

2024 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის ნოემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

ნოემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 10.6%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 13.9%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 7.6%-ით გაიზარდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 12.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 15.0%-ს გაუტოლდა. 2024 წლის დეკემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 1.9% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2024 წლის დეკემბრის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 9,673.4 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, 68.9% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 16.7% - ეროვნული ბანკის, ხოლო 14.5% - სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 12.9%, არარეზიდენტი - 1.6%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(დეკემბერი)



2024 წლის ნოემბერში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 59,705.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.9%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 47.3% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 52.7%.

ნოემბრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 64.0% იურიდიულ პირებს, ხოლო 36.0% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 64.4% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 35.6% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(ნოემბერი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 51.9% ვადიანი დეპოზიტებია, 24.4% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 23.7% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (40.9%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (30.9%) და მიმდინარე ანგარიშებს (28.3%).



<u>2024 წლის ნოემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე შემცირდა.</u>

ნოემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.93 პპ-ით გაიზარდა და 50.0%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.45 პპ-ით შემცირდა და 42.7% შეადგინა.

ნოემბრის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები -1.2%-ით შემცირდა, თუმცა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.6%-ით გაიზარდა.



2024 წლის ნოემბერში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 11,833.8 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 26.1%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.3%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.7%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 39,180.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.1%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 50.5%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 49.5%.



ნოემბრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.6% გაცემულია თბილისში, 7.9% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.1% -კახეთში, 4.6% - ქვემო ქართლში, 4.2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის ნოემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.3 პპ-ით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.2 პპ-ით გაიზარდა.

ნოემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.3% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.6%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) ნოემბრის* მდგომარეობით 6.7% შეადგინა, 0.98 პპ-ით მეტი წინა წლის ნოემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.





2024 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით გაუფასურდა.

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7%-ით, ევროს მიმართ 1.2%-ით და თურქულ ლირასთან მიმართებით კი 1.2%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, დეკემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 4.5%-ით და ევროს მიმართ 0.5%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 14.8%-ით გამყარდა.

დეკემბრის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.81, ევროსთან მიმართებით 2.95, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

<u>2024 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.</u>

2024 წლის III კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,056.7 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.9%-ით (201.3 ლარით) მეტია, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.6%-ით (51.8 ლარით) მეტი.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის III კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3,976.9 ლარის ოდენობით, 0.5% წლიური ზრდა), მშენებლობისა (3,198.2 ლარი, ზრდა 5.4%), აგრეთვე - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგებში (3,186.6 ლარის ოდენობით, ზრდა 13.5%) და პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობების დარგებში (3,062.9 ლარი, ზრდა 17.1%).





<u>2024 წლის ნოემბრის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა განათლებაზე და ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.</u>

ნოემბერში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 222.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 13.2%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 170.7 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.4%-ით მეტია.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის დეკემბერში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 44.4% შეადგინა, ხოლო სომხეთში 1.5% დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის ნოემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 4.4%-ით, ხოლო რუსეთში 8.9%-ით გაიზარდა.





2024 წლის დეკემბრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, სომხური დრამისა და აზერბაიჯანული მანათის გარდა, გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნოემბერში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი 4.5%-ით, თურქული ლირა 16.8%-ით და რუსული რუბლი 12.2%-ით გაუფასურდა, ხოლო სომხური დრამი 1.8%-ით და აზერბაიჯანული მანათი 0.05%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოე 24	დეკ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	13.0	12.0	8.3	11.0	7.5	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	10.7	10.7	19.8	14.2	11.6	14.7	10.1	
ინფლაცია (%)	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8	1.0	0.6	0.3	1.3	1.9
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	9.50	9.0	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.49	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	0.47	0.46	0.46	0.47	0.49	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	0.45	0.44	0.44	0.44	0.43	0.43	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.69	2.68	2.66	2.68	2.68	2.72	2.83	2.73	2.70	2.71	2.73	2.74	2.81
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	311 008	265 093	266 386	280 934	278 515	284 309	281 091	298 118	290 567	283 385	281 060	266 696	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	514	339	465	523	437	501	581	684	642	616	682	543	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 369	1 102	1 181	1 227	1 452	1 413	1 359	1 566	1 452	1 429	1 485	1 436	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-854.5	-763.7	-716.7	-704.6	-1 014.7	-911.4	-777.8	-882.0	-810.0	-813.1	-803.6	-893.1	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5 010	4 853	4 746	4 777	4 814	4 600	4 581	4 671	4 839	4 712	4 085	4 124	4 448
შემოსავლები (მლნ ლარი)	2 122	2 116	1 823	2 384	2 050	2 010	2 495	2 066	1 951	2 216	2 011	2 003	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 947	1 716	1 676	1 558	1 904	1 697	1 587	2 193	1 531	1 599	1 661	1 721	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	1 109	402	420	430	424	459	567	570	555	594	567	456	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი